ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-10/01212144-17

"13" 09 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ოფისი (რეკონსტრუქციის სხვა სახეობა) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №49 62430 19.06.2020წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

+0.00 ნიშნულთან, შენობის პერიმეტრზე, ფასადზე გაუქმებულია ლითონის ფურცლით მოპირკეთება, ფასადზე ფიქსირდება ლესვა და ღებვა. ტერიტორიაზე, "1" და "ა" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ე.წ. სენდვიჩპანელის კედლები და შექმნილია ფართი. ტერიტორიაზე, "ა" ღერძის გარეთ +0.00 და +6.38 ნიშნულებზე აგრეგატების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას, მათი ნაწილი დამატებითაა მოწყობილი. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას. ნაწილობრივ შეცვლილია კედლის სისქეები. "დ" ღერძზე, "5-6" მონაკვეთში განიავებისთვის განკუთვნილი შახტის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას. +0.00 ნიშნულზე, "1" ღერძთან კიბის უჯრედში მცირედით შეცვლილია საფეხურის ფორმა. +0.00, ასევე +3.25 ნიშნულებზე: დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის ტიხრები, საოფისე ინვენტარის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას, შეკიდულ ჭერზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი მასალის საიზოლაციო შრე, ნაწილობრივ შეფუთულია ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი, რის გამოც ვერ მოხერხდა კონსტრუქციული ნაწილის სრულყოფილად დათვალიერება. ნაწილობრივ შეცვლილია სართულის სიმაღლეები.

"1-9" ფასადი: "1²-3²" მონაკვეთში დასასრულებელია ფასადის მოპირკეთება. დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. "3²" ღერძთან კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი და სავენტილაციო მილები.

"ე'-ა" ფასადი: ნაწილობრივ ფასადზე მოწყობილია თუნუქის ფურცლები. +5.10 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. დამატებით მოწყობილია საჰაერო.

"ა-დ" ფასადი: "ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ვიზუალი.

პროექტის ხარვეზი: საპროექტო დოკუმენტაციაში არ არის ნაჩვენები ფასადი "9-1" ღერძებს შორის. ფოტომონტაჟი და ფასადის ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის,

97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 28.01.2016წ. №41-ე დადგენილების, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ევოლუშენ ჯორჯია"-ს, ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ოფისი (რეკონსტრუქციის სხვა სახეობა) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01211483241-17 28.05.2021წ. და №10/012121444-17 02.08.2021წ. განცხადებები.

№წ-10/012121444-17 03.08.2021წ. ბრძანება

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაყელი